პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 (19148) სამშაბათი, 8 იანვარი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

კომუნისტები წინ უნდა იყვნენ

ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს თავისი რიგების სიწმინდისა და მებრძოლურობისათვის. რაც უფრო მასშტაბური და რთულია ჩვენი გეგმები, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება კომუნისტების ავანგარდული როლი. პარტიელის მოვალეობაა ტონს აძლევდეს კოლექტიურ მუშაობას, იძლეოდეს დაკისრებული საქმისადმი, მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითს.

„უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება იმას, — აღნიშნა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, — რომ პარტიის ყოველი წევრი იძლეოდეს შრომაში კეთილსინდისიერების, ინიციატივისა და შემოქმედების, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის პირად მაგალითს. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. დღეს პარტიულობის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია არა მარტო ის, თუ როგორ მუშაობს და იქცევა კომუნისტი, არამედ ისიც, თუ რამდენად შეუპოვრად, აქტიურად იბრძვის იგი ნაკლოვანებების წინააღმდეგ, ილვწის საქმის ვითარების საერთო გაუმჯობესებისათვის".

კომუნისტის საწესდებო მოვალეობაა განუხრელად ახორციელებდეს პარტიის გადაწყვეტილებებს, გაბედულად ავლენდეს და მტკიცედ აღმოფხვრიდეს ნაკლოვანებებს. მას არ შეშვენის თვითდამშვიდება, გულგრილობა, მიმდინარე ამბების პასიური ჭვრეტა. მისი აქტიურობა ზნეობრივი ორიენტირია გარშემო მყოფთათვის, იგი ატარებს დიდი მაორგანიზებელი და აღმზრდელობითი ძალის მუხტს.

საიდუმლო არ არის, რომ ზოგჯერ კომუნისტს წილად ერგება ძნელი გამოცდა. რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგალითად, კრასნოდარის მხარის შოფერი ვ. ლუზიანოვი, რომლის შესახებაც მოგვითხრო შარშან „პრავდამ". წარმოების მოწინავე არ შეეგუა ხელმრუდი ადამიანების ცდებს გაბატონებულიყვნენ კოლექტივში და ამით მუშაკთა ერთი ნაწილის, მათ შორის ზოგიერთი ხელმძღვანელის, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ ამის მიუხედავად კომუნისტმა უკან არ დაიხია, არ შეურიგდა ჩვენი ცხოვრების ნორმების დამრღვევებს. ახლა კოლექტივში ატმოსფერო გამოჯანსაღდა, გაიზარდა პარტორგანიზაციის მებრძოლურობა, გაუმჯობესდა ავტოკოლონის საწარმოო მაჩვენებლები. გამოცდილება მოწმობს: იქ, სადაც კომუნისტები ერთსულოვნად და შეთანხმებულად მოქმედებენ, წარმატებაც უზრუნველყოფილია. და პირიქით, თუ კომუნისტების მოქმედებას აკლია ორგანიზებულობა, მიზანსწრაფულობა, წარმოიშვება ხიძნელეები, ვიწრო ადგილები როგორც საწარმოო, ისე აღმზრდელობით მუშაობაში.

ჩვენი პარტია ეგებება თავის XXVII ყრილობას, ქვეყანას დაუდგა მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პარტიული ორგანიზაციები ყურადღებით სწავლობდნენ ყოველივე იმ ახალს, საინტერესოს, რითაც გამდიდრდა ბოლო ხანს მათი პრაქტიკა. ბევრი რამ საყურადღებოა მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ლიტვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და ვლადიმირის ოლქების, კრასნოიარსკის მხარის კომუნისტების საქმეებში, სადაც შემოქმედებითად, ნოვატორული მიდგომით სრულყოფენ ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებისადმი ხელმძღვანელობას. სწორედ ასეთ ვითარებაში სტაბილურად სრულდება გეგმები, საგრძნობია წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგები. ამავე დროს მთელ რიგ ადგილებში სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი საქმის ვითარებაზე პარტიული ზეგავლენის გაძლიერებას, ინერციის, ფორმალიზმის, დეკლარაციულობის აღმოფხვრას.

ПРАВДА

7 იანვრის მოწინავე

წლის პირველი დღეებიდანვე უნდა ვიზრუნოთ ადამიანების შრომითი და საზოგადოებრივი ინიციატივის ყოველმხრივი განვითარებისათვის, უზრუნველვყოთ მტკიცე დისციპლინა, თითოეული კოლექტივის შეხმატკბილებული და მწყობრი მუშაობა. ზოზინის, გულარხეინობის, უდარდელობის გამოვლინებანი, რომლებსაც ნილბავენ ხოლმე სიტყვებით „მერეც მოვასწრებთო", მტკიცედ უნდა აღმოვფხვრათ. ძალების განსაკუთრებულ დაძაბვას მოითხოვს ისეთი უბნები, სადაც შარშან მიღწეული შედეგები არ იძლევა წარმოების მყარი ზრდის გარანტიას, სადაც დაშვებულია ხუთწლედის დავალებებისაგან ჩამორჩენა. მუდამ უნდა გვახსოვდეს პარტიის მოთხოვნა: ის, ვინც ჯერ კიდევ ჩამორჩება, დაუყოვნებლივ უნდა წამოიწიოს წინ; ის, ვინც ასრულებს გეგმას — უნდა დაეწიოს მოწინავეებს; წინ მიმავლებმა არ უნდა შეანელონ ტემპი!

ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ წარმატებით ვიშრომოთ. დღეს „პრავდა" აქვეყნებს სტატიას „ყველა თავის ადგილას". მისი ავტორია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, როსტოვის ოლქის პესჩანოკოპსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის" მერგოლური ნ. ვ. პეროვერზევა. სახელგანთქმული მხვნელ-მთესველი მსჯელობს მიწის ყაირათიან გამოყენებაზე, ყველას, ვინც მინდორსა თუ ფერმაში მუშაობს, რგოლსა თუ ბრიგადას, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას მეთაურობს, მოუწოდებს იყვნენ მარჯვე მეურნეები, ნამდვილი ეკონომისტები, თავიანთ საქმეში აღწევდნენ შრომის უმაღლეს შედეგებს.

სწორად არის დასმული საკითხი. და სწორედ კომუნისტები უნდა იძლეოდნენ აქ მაგალითს. ისინი ვალდებული არიან ყველგან იყვნენ მოწინავეთა რიგებში, აღუძრავდნენ გაშლილი საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებს სურვილს იმუშაონ დღეს გუშინდელზე უკეთ, ხვალ დღევანდელზე უკეთ.

დიდია კომუნისტი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა. მათზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად წარმატებით შესრულდება სახელმწიფო დავალებანი, შემხვედრი გეგმები, სოციალისტური ვალდებულებანი. ჯეროვან პატივს მივაგებთ რა ხელმძღვანელებს, რომლებიც პირნათლად ამართლებენ მათთვის გამოცხადებულ ნდობას, მკაცრად უნდა მოვკითხოთ იმათ, ვინც არღვევს სახელმწიფო დისციპლინას, უინიციატივოა. კიდევ უფრო გადაჭრით, შეუნელებლად უნდა ვეწეოდეთ ბრძოლას თანამდებობრივი მდგომარეობის ყოველგვარი ბოროტად გამოყენების, ამპარტავნობისა და მშრომელთა აზრების, საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების წინააღმდეგ. აქ ფასდაუდებელია საჯაროობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ადმინისტრაციის საქმიანობის კარგად მოგვარებული პარტიული კონტროლის როლი.

სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდი უნდა აღინიშნოს მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი გაძლიერებით. გამოცდილება გვასწავლის: რაც უფრო უკეთ ერკვევიან ადამიანები საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო მასშტაბის პრობლემებშიც, იმ საწარმოს ამოცანებშიც, სადაც შრომობენ, მით უფრო ღრმად იმსჭვალებიან ისინი პასუხისმგებლობით საქმეში პირადი წვლილისათვის, წარმოებაში წესრიგისათვის და, მაშასადამე, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მთლიანად მეურნეობრიობის შედეგები.

საბჭოთა ადამიანებმა იციან: პარტიის უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობისათვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების გამარჯვებისათვის ზრუნვა. ყველას უნდა შევაგნებინოთ თითქოსდა უბრალო ფორმულის არსი: უკეთ რომ ვიცხოვროთ, უკეთ უნდა ვიმუშაოთ.

წინ დიდი საქმეები გველის. ქვეყანას ახალ ისტორიულ ჰორიზონტებს დაუსახავს მომავალი პარტიული ყრილობა. დაე, თითოეულმა კომუნისტმა ყოველი ღონე იხმაროს ჩვენი გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის, დიდი მიღწევებით შეხვდეს ლენინური პარტიის XXVII ყრილობას!

მისასალმებელი დეპეშა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღის გამო.

ახალი წლის პირველ დღეებში

„კომუნისტის"
კორესპონდენტები
გვატყობინებენ

● ქუთაისი. სწრაფი შრომითი ტემპით დაიწყო ახალი წლის დღეები ქუთაისის სამრეწველო საწარმოებში. ისინი აქედანვე საფუძველს უყრიან სახელმწიფო დავალებათა შესრულებას. დამკვრელური შრომის მაგალითს უჩვენებენ ელექტრომექანიკურ ქარხანაში. აქ წლის პირველ დღეებში 135 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, ელექტრომანქანების საამქროს კოლექტივმა, რომელსაც გ. კაპანაძე ხელმძღვანელობს, წლის პირველი დეკადიდანვე გამოიჩინა ინიციატივა, რომ ახალი ბრიგადული მეთოდით იმუშაოს. ეს კი უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ასევე წლის დასაწყისიდანვე დიდნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან მინის ტარისა და ლითოფონის ქარხნები, ტრიკოტაჟის ფაბრიკისა და ბარიტის მადაროთსამმართველოს კოლექტივები. ქუთაისის ბარიტის მადაროთსამმართველოს კოლექტივმა მარტო ამ დღეებში გეგმით გათვალისწინებული 22 ათასი მანეთის ნაცვლად სამშობლოს 30 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა.

ხოლო ტრიკოტაჟის ფაბრიკის მშრომელებმა იანვრის განვლილ სამუშაო დღეებში 162 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია დაამზადეს. დამკვრელური შრომითი ვახტი გრძელდება.

● ვანი. ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ვანის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივში ბევრი სახელოვანი ფეიქარია. მაგრამ მჯობნის მჯობნს რა დალევს. ერთი იმათთაგანია ეთერ ადეიშვილი. იგი აქ ფაბრიკის დაარსების დღიდან მუშაობს, ყოველწლიურად აუმჯობესებს ქსოვის ტექნიკას, ეუფლება მოწინავე ხერხებს და მეთოდებს. იგი ახალბედა მქსოველების საუკეთესო დამრიგებელია. ასწავლის მათ ქსოვის საიდუმლოებას.

წარჩინებულმა მქსოველმა ჯერ კიდევ პირველი დეკემბრისათვის უპატაკა სამშობლოს 1984 წლის დავალების სანაქებოდ შესრულება. მოქსოვა 45.570 მეტრი კაპრონის ხამი ქსოვილი — 11.234 მეტრით მეტი, ვიდრე ვალდებულება ითვალისწინებდა. მოწინავე ფეიქარმა ახალი შემართებით დაიწყო 1985 წელი. მან იანვრის სამ დღეს დაზოგილი ნედლეულით იმუშავა.

გავზარდით შრომის ნაყოფიერებას

ახალციხის რაიონის
მშრომელთა 1985 წლის
სოციალისტური
ვალდებულებანი

რაიონის მშრომელები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებული დამთავრებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1985 წლისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

რაიონის საწარმოები და ორგანიზაციები ორი დღის განმავლობაში იმუშავებენ დაზოგილი მასალითა და ნედლეულით.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმები შესრულდება 21 დეკემბრისათვის. გამოშვებულ იქნება 32 მილიონი მანეთის პროდუქცია: შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზრდება გეგმის გადამეტებით 1,5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება დამატებით შემცირდება 0,5 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა ყველა კატეგორიის მეურნეობების მიხედვით გაიზრდება 25 მილიონი მანეთით. სახელმწიფოს მიეყიდება 1.230 ტონა მარცვლეული, 11.500 ტონა კარტოფილი, 7.000 ტონა ბოსტნეული, 11.250 ტონა ხილი, 2.910 ტონა ხორცი, 6.610 ტონა რძე, 2.310 ათასი ცალი კვერცხი, 300 ცენტნერი მატყლი. საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით გაიზრდება 1,6 პროცენტით, თვითღირებულება დამატებით შემცირდება 0,5 პროცენტით.

სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივები უფრო ეფექტიანად გამოიყენებენ კაპიტალურ დაბანდებებს, შეამცირებენ მშენებლობის ვადებს, ფართოდ დანერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას, გაზრდიან ზლობინელთა მეთოდით მომუშავე ბრიგადების რაოდენობას, გააუმჯობესებენ სამუშაოთა ხარისხს, დაზოგავენ საშენ მასალებს, შესრულდება 10 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლები, გაუმჯობესდება რაიონის მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო და კულტურული მომსახურება.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია პარტიის ახალციხის რაიკომისა და ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე.

ხალხი და პარტია ერთიანია

მხურვალედ უჭერენ მხარს ხალხის კანდიდატებს

საოლქო არჩევნებისწინა თათბირები, რომლებიც ახლა ქვეყანაში მიმდინარეობს, კვლავ და კვლავ ცხადყოფენ საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობას, მის მზადყოფნას წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი და ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური პარტიის XXVII ყრილობას. თათბირის მონაწილენი ერთსულოვნად უჭერენ მხარს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებიც შრომითი კოლექტივების კრებებზე დაასახელეს.

საზეიმოდ მოურთავთ მოსკოვის ვიდნეოს კოქს-გაზის ქარხნის კულტურის სასახლე. აქ თათბირზე მოვიდნენ მოსკოვის ოლქის ლენინის საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში შემავალი შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

ტრიბუნაზეა სახელმწიფო ჯიშთსაშენის „კომუნარკის" მანქანური წველის ოსტატი მ. ი. ბოიკოვა.

ჩვენი ოლქის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებმა, — თქვა მან, — უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ლენინური ტიპის ხელმძღვანელი, მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო.

ამ სიტყვებს დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

— ჩვენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელეთ აგრეთვე გორკის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ნ. ნ. გორდინი, — თქვა ორატორმა. მან მოუწოდა დამსწრეთ მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატურებს.

წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. თ. ისაევმა, სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „მოსკოვლითონკონსტრუქციის" ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორმა ლ. ი. ვარლამოვამ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ ე. მ. კობზევამ, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ნ. მორგაჩოვმა, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ი. აგეევმა და სხვებმა.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს **კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოსა** და **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გორდინს** დათანხმდნენ კენჭი იყარონ მოსკოვის ოლქის ლენინის საარჩევნო ოლქში.

ლენინგრადის ოლქის პრიოზერსკის საარჩევნო ოლქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა არჩევნებისწინა თათბირზე გამოვიდა ჯიშთსაშენის „რაზდოლიეს" მანქანური წველის ოსტატი ს. ს. სკურიხინა. მან თქვა, რომ ამ მეურნეობისა და

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩვენი დიდი სამშობლო

სახელოვანი 60 წელი



მთიანი მხარის მოელვარე მწვერვალები

ტაჯიკეთის სსრ. ღრუბლებზედა მხარეს უწოდებენ მთიან ბადახშანს — საბჭოთა კავშირის ყველაზე მაღალმთიან ავტონომიურ ოლქს.

პამირის ბუნება არ ანებივრებს კაცს. მთები, ბობოქარი მდინარეები, მკაცრი კონტინენტური კლიმატი, მწირი მცენარეულობა. ახლა ძნელი წარმოსადგენია, რა გაჭირვებას და შიმშილს განიცდიდა პამირის მოსახლეობა რევოლუციამდე. მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა მიწის სიმცირის რთულ პირობებში შეძლეს შეექმნათ განვითარებული მემინდვრეობა, მეცხოველეობა და მეაბრეშუმეობა. პამირელებმა არ იცოდნენ, რა არის ბოსტნეული და კარტოფილი, ახლა კი ეს დარგები ოლქის მიწათმოქმედების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებებია.

სწრაფი ტემპით ვითარდება ადგილობრივი და კვების მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია, შეიქმნა მარილის მომპოვებელი საწარმოები.

შეიცვალა ამ მხარის სოციალურ-ყოფითი და კულტურული სახე. დღეს ავტონომიურ ოლქში 300-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და საშუალო სპეციალური სასწავლებელი, თეატრი და მუზეუმია. 200-მდე მასობრივი ბიბლიოთეკა და 300 საკლუბო დაწესებულება და კინოდანადგარია. „ორბიტის" სადგურის ამოქმედების შემდეგ უზრუნველყოფილია სატელევიზიო გადაცემების სტაბილური მიღება ოლქის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი მიღწევებისათვის ოლქი დაჯილდოებულია ლენინისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით.

● ●

სურათზე: მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის ცენტრი ქალაქი ხოროგი. პოლიტიკური განათლების სახლი.

უგლიჩის დროით





[illegible]

ყინულქვეშა თევზაობა

[illegible]

სრულყოფით მუშაობა, დავძლიოთ ნაკლოვანებანი

მოვალეობის სრული
შეგნებით

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უსწრაფესი ტექნიკური განახლებისათვის, ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიების სწრაფი საწარმოო ათვისებისათვის საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებათა და მატერიალური სახსრების მობილიზაცია უპირველეს ამოცანად არის დასახული ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატიაში „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნების დონეზე".

ეს სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანა, რა თქმა უნდა, ჩვენც, მელიორატორებსაც, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ სწრაფად ავანაზღაუროთ მიწების გასარწყავებისათვის გაწეული დიდი ხარჯები.

წლეულს „იორწყალმშენის" ტრესტს 4.655 ჰექტარი მიწის გასარწყავებისათვის 19 მილიონი მანეთი აქვს გამოყოფილი.

ამ სამუშაოთა მოცულობა თავისთავად მეტყველებს იმ დიდ მოვალეობაზე, რომელიც ჩვენს შრომითს კოლექტივს აქვს დაკისრებული.

სწორედ ამ მოვალეობის სრული შეგნებით, შემართებით ვილვწით ახალი წლის პირველი დღეებიდანვე, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად ჩავაყენოთ მელიორირებული მიწები ქვეყნის სასურსათო ფონდის სტაბილური ზრდის სამსახურში.

გ. ქემოკლიძე,
„იორწყალმშენის" ტრესტის მმართველი.

წარმოების
ინტენსიფიკაციისათვის

თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" მშრომელები ინტერესით გაეცნენ პრესაში გამოქვეყნებულ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატიას „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნების დონეზე".

„ინტენსიფიკაციის საჭიროებას გვიკარნახებს არა მარტო და არა იმდენად თვით რესურსების უკმარისობა, არამედ უწინარეს ყოვლისა ის, რომ ჩვენმა სახალხო მეურნეობამ უკვე უზრუნველყო წარმოების ისეთი მოცულობა, რომლის დროსაც შემდგომი წინსვლისათვის გამართლებს [illegible]

[illegible]

ე. ლაშქარაშვილი,
[illegible]

სახელმძღვანელო
დოკუმენტი

[illegible]

მოჩნდეს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სამშობლოს ერთგულების სულისკვეთება.

რ. მიმინოშვილი.
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის თანათავმჯდომარეებს დოქტორ ე. პოუსტს (ამერიკის შეერთებული შტატები) და დოქტორ კ. ტოტს (უნგრეთი)

პატივცემულო ბატონებო,

ინტერესით გავეცანი თქვენს წერილს, საიდანაც ჩანს, რომ რელიგიური წრეები, რომლებსაც თქვენ წარმომადგენლობთ, ადგანან რეალისტურ პოზიციებს ომისა და მშვიდობის დიდმნიშვნელოვან პრობლემებში.

ყურადღებით შევისწავლეთ [illegible] ბა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ბირთვული ომის საფრთხის შენელების გზაზე, დასახავს ბირთვული იარაღის მარაგის შემცირების, ამასთან მისი ყველა ნაირსახეობის სრული ლიკვიდაციის პერსპექტივას, რაც ამ საკითხში მთავარ მიზნად მიგვაჩნია.

თუ ამერიკის მხარე დათანხმდება აკრძალოს ბირთვული იარაღის გამოცდები და უარს იტყვის მის პირველ გამოყენებაზე, რაზეც ლაპარაკია თქვენს წერილში, ამას ჩვენ მხოლოდ მივესალმებოდით. საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, არაერთგზის განაცხადა, რომ მთლიანად და საყოველთაოდ უნდა აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოცდები, იკისრა ვალდებულება ცალმხრივ წესით პირველმა არ გამოიყენოს ასეთი იარაღი.

ჩვენთვის ასევე გასაგებია თქვენი შეშფოთება კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის, კერძოდ, იქ ბირთვული იარაღის განლაგების შესაძლებლობის გამო. მართლაც, ამერიკის გარკვეული წრეების ცდები კაცობრიობას თავს მოახვიონ „კოსმოსური ომების" ერა, ახალ, დამატებითს საფრთხეს უქმნის მშვიდობას. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული ძალები თავისას გაიტანენ ამ საკითხში, მაშინ წარმოიქმნება შეუქცევადი სიტუაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ყველაზე დამღუპველი შედეგები. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ეს შეგნებული აქვს ფაქტობრივად ყველა სახელმწიფოს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედიან და რომლებმაც გენერალური ასამბლეის 39-ე სესიაზე ხმა მისცეს, შეერთებული შტატების გარდა, კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას.

საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან მორიგების მიღწევას საკითხთა მთელ კომპლექსზე, რომლებიც მოიცავს როგორც კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობას, ისე ბირთვულ შეიარაღებას. მომწიფდა იმის საჭიროება, რომ განვახორციელოთ სასწრაფო და ქმედითი ღონისძიებანი, რათა არ დავუშვათ სტრატეგიული ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია, თავიდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპი.

ამასთან დაკავშირებით მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ჩვენი მიდგომა მოლაპარაკებისადმი ემყარება იმას, რომ იგი პატიოსანი და საქმიანი უნდა იყოს. მოლაპარაკების მიზანი უნდა იყოს არა პარტნიორისა და საზოგადოებრივი აზრის მოტყუება — ასეთ მორალს ვერ დავეთანხმებით, — არამედ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტათა ძიება, რომლებიც შეესაბამებოდა მშვიდობის ინტერესებს.

იქნება თუ არა ომი დღეს — დამოკიდებულია ყველა ადამიანზე, მათი მსოფლმხედველური და იდეოლოგიური პოზიციების მიუხედავად.

ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით და კვლავაც დავუჭერთ მხარს მჭიდრო თანამშრომლობას პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან, მათ შორის რელიგიურ წრეებთანაც, რომლებსაც, ჩვენი აზრით, შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი კაცობრიობისათვის ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების საქმეში.

მტკიცე მშვიდობის მიღწევის ურთიერთმისაღები გზების ძიებამ, რთული საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისადმი კონსტრუქციულმა მიდგომამ შეიძლება უზრუნველყოს ხალხთა უშიშროება და ადამიანის უპირველესი უფლება — სიცოცხლის უფლება.

შემდგომ წარმატებებს გისურვებთ თქვენ და ყველა რელიგიურ მოღვაწეს, რომლებიც მშვიდობის იდეალებს იცავენ.

პატივისცემით

კ. ჩერნენკო.

ხალხი და პარტია ერთიანია

როცა ღიმილით გვხვდებიან

ქოლგისნამა მამაკაცმა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის კარები შეიღო და მორიდებით იკითხა ხელოსანი.

— აქეთ მობრძანდით, აქეთ, მე თვითონ გახლავართ. რამ შეგაწუხათ? —ღიმილით გამოეხმაურა ახალმოსული ერთი ახალგაზრდა და თმებდათოვლილი მამაკაცი თავისთან მიიწვია.

—: ოო, შენ ხარ, ჩემო ბიძია, ავაშენა ღმერთმა! ერთი ამ ქოლგას მიმიხედეთ, რაღაც უჭირს, ალბათ, — კეთილი შეხვედრის გამო მორობის გუნებაზე დადგა მოხუცი, რომელსაც გულზე დაბნეული ნიშნებით ეტყობოდა, რომ სამამულო ომის მონაწილეე უნდა ყოფილიყო.

— ახლავე, ბატონო, მაგისი გაჯირვების საიდუმლო მე ვიმანდეთო, — ახალგაზრდამ ქოლგა გამოართვა და შეათვალიერა.

— სულ მაღე, ხუთ წუთში მზად იქნება, — თქვა მან და მოუბრუნდა.

მართლაც ხელოსანმა ქოლგა მაღე შეაკეთა და პატრონს ჩაუბარა. მოხუცმა ჯიბეზე ხელი გაიხვა.

— ოჰ, არა, არა, —სწრაფად წარმოთქვა ახალგაზრდამ და თან დაუმატა, —ჩვენ აქ დიდი სამამულო ომის ინვალიდებს უფასოდ ვემსახურებით, აგერ წარწერაც, — ხელით კედლისაკენ მიუთითა.

— აგაშენაო ღმერთმა, დაილოცოს თქვენი კაცობაც და მარჯვენაც. —თქვა და ახალგაზრდას მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

ასეთი შემთხვევა გამონაკლისი არ არის ქუთაისის საყოფაცხოვრებო სახლის „პიროქიშკის“ მუშაკთა საქმიანობაში. სწორედ აქ მუშაობს

ბ. ბ. ბ.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ

●●

მხატვარ ი. ხუციშვილის ნახატი.

პარტიული ცხოვრება

გაჩუმების შეგონება—საზოგადოებრივ სამსჯავროზე!

ᲠᲐᲜᲘᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐᲜ

●●

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ



ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ რაიონის კინდღის მეჩაიეობის სახელოთა მეურნეობის მშრომელებმა შაბნეს გადასა. მუშაობლად ჩაბარეს 1600 ტონა პირველხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — საგებამზე ახი ტონაზე მეტი. მეურნეობის მექანიზატორები აყენებენ ორნერის დარიან დღეებს, ნიადაგში შეაქვთ მინერალური სასუქები, კრეფენ უხეშ ფოთოლს, რასაც მარტო იანვარში ორი ათას ცენტნერზე მეტს დაამზადებენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ზამთარი ჩაის პლანტაციაში.

ი. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲝᲤᲝᲠᲛᲘᲡ).

(დასასრული)

პრიოზერსკის ცელულოზის ქარხნის კოლექტივებმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სამეფო ჩერნენკო და სანაშენე საბჭოთა მეურნეობის „რაზდოლეის“ მანქანური წველის ოსტატი ნ. ნ. მუხინა, და შეკრებილთ მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატურებს.

თათბირზე გამოვიდნენ სვირსკის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დიოექტორი კ. ვ. რუბცოვი, საბჭოთა მეურნეობა „ილინის“ მწველავი ლ. ა. სერგეევა, პრიოზერსკის №5 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. დ. ანდრიაშჩენკო, პრიოზერსკის ცელულოზის ქარხნის ელექტრომონტიორი ნ. ნ. სოლოვეიოვი, რომლებმაც მხურვალედ მოიწონეს ეს წინადადება. თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს **კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოსა** და **ნადეჟდა ნიკოლოზის ასულ ბუხნის** დათანხმდნენ კენჭი იყარონ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად პრიოზერსკის საარჩევნო ოლქში.

გაიმართა **ნახოდკის** საარჩევნო ოლქის (ზღვისპირეთის მხარე) მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა თათბირი.

ზღვისპირეთის თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების თევზსაკერი იარაღის ფაბრიკის ბრიგადირმა ვ. მ. ტერტიშნიამ გამოაცხადა, რომ მთელი რიგი საწარმოების მშრომელებმა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო და თევზსაკერი იარაღის ფაბრიკის ბრიგადირი თ. ჯ. ბერდიოა, და დამსწრეთ მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ გადაწყვეტილებას.

თათბირზე გადაწყვეტეს სთხოვონ **კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოსა** და **თამარ პავლეს ასულ ბრედოვას** დათანხმდნენ კენჭი იყარონ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ნახოდკის საარჩევნო ოლქში.

არხანგელსკში **ლომონოსოვის** საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო არჩევნებისწინა თათბირზე გამოვიდა არხანგელსკის სახლთსაწნეელი კომბინატის კადრების განყოფილების უფროსი ვ. ე. ტარასოვი. მან გამოაცხადა, რომ სახლთსაწნეელი კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიროს წევრი, სსრ კავშირის მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი და არხანგელსკის სახლთსაწნეელი კომბინატის მემთაჭაშე-მეცნიერი ბ. ბ. ბ. კასატინი.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტეხონოვსა** და **ნინო ათანასეს ასულ კასატკინას** დათანხმდნენ კენჭი იყარონ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ლომონოსოვის საარჩევნო ოლქში.

ბელგოროდში **ოქტომბრის** საარჩევნო ოლქის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლების არჩევნებისწინა თათბირზე სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის კომბინატის გაზშედუღებელმა ე. პ. შლიჩკო

ᲐᲛᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში ერთი წლის წინათ ცარიელი ველი იყო. ვიცოდით, რომ აქ მეთერთმეტე სართულადის დამლევამდე აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატის ქარხანა უნდა აშენებულიყო.

სამე ის არის, რომ ახლა აჭარის მშრომელებს ყოველწლიურად საშუალოდ მოაქვათ 160 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი. ციტრუსი მალფუჭდებადია, ძნელდება მოკლე დროში ასეთი დიდი რაოდენობის ნაყოფის ტრანსპორტირება, ქვეყნის შორეული რაიონებისათვის მისი მიწოდება.

ამ მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის აგება მიენდო საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №15 ტრესტს. მისი კოლექტივი, განსაკუთრებით ტრესტის №45 მოძრავ-მექანიზებული კოლონა, მთელი სერიოზულობით მოეკიდა საქმეს და შედეგიც არის. უკან დარჩა მეტისმეტად დაძაბული პერიოდი, აღიმართა დიდი კორპუსები.

იმ დღეს ქარხნის მშენებლობაზე შეეგებოთ №15 ტრესტის მმართველს ო. ჩარკვიანსა და კომბინატის დირექტორს ზ. გოგოლაშვილს. ცხადია, ორივე ხელმძღვანელი ღელავდა და ჩქარობდა.

— ორი მილიონ 60 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეგვესრულებინა მოკლე დროში და, ცხადია, ბრტყი ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით, — გვითხრა ტრესტის მმართველმა, — ყოველმხრივ გვეხმარებოდნენ აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ჩვენი სამინისტროს ხელმძღვანელები. როგორც ხედავთ, პირველი რიგის სამუშაოები უკვე დავამთავრეთ და ქარხანა გადავეცით საექსპლოატაციოდ.

— ახალმა ქარხანამ, —განაგრძო საუბარი კომბინატის დირექტორმა, — წელიწადში 15 ათასი ტონა ციტრუსი უნდა გადაამუშაოს. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე აქამდე მთელი კომბინატი ამუშავებდა. როგორც ხედავთ, ყველაფერი კარგად წარიმართა. უკვე გამოვიშვით პირველი პროდუქცია.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

საკ. კორ.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ

ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

ᲮᲔᲚᲜᲐᲮᲘᲡ დაგვიანებით გაიცემას ეხებოდა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი „დაგვიანებული ხელფასი და უპრეტენზიო მუშები“. ამის გამო პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ი. მოლაშვილი გვწერს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. დარღვევების შესახებ იმსჯელა ყვარლის რაისახკომ ალბასკომმა და ყვარლის ინდნანთამშენებლობის ყოფილ უფროსს რ. კოკოლაშვილს გამოუცხადა სახტიკი საყვედური. იგი გადაყვანილია სხვა სამუშაოზე. ამ და სხვა დარღვევებისათვის ყვარლის ინდნანთამშენებლობის უფროსი ბუღალტერი ვ. გულიაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ახლა ყვარლის ინდნანთამშენებლობის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲥᲠᲔᲑᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲛᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ“

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ

ᲑᲐᲖᲗᲝᲗ „კომუნისტის“ მოწინავე სტატიაში გაკრიტიკებული იყო „საქსახლინმრეწვის“ ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების არგვეთისა და სვირის ღვინის ქარხნები, სადაც არ სრულდება ენერგოზოგმაზოგველობის მიწერილობანი. ამის გამო „საქსახლინმრეწვის“ ზესტაფონის საწარმოო გაერთიანება გაწერს:

გაზეთის კრიტიკა სწორია. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ენერგოზოგმაზოგველობის მიწერილობის მიღებისთანავე შედგა შესრულების გეგმა-გრაფიკი, დაისახა გარკვეული ღონისძიებები და დადგინდა ვადები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოთა ნაწილობრივ შესრულებულია, კერძოდ: ხელოვნური მცველები შეიცვალა ალუმინურით, დასუფთავდა და მოწესრიგდა სატრანსფორტო პუნქტები. გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დარჩენილ სამუშაოთა დადგენილ ვადებში და ხარისხიანად შესრულებისათვის.

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

„ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝᲗ ᲮᲘᲠᲝᲡᲘᲛᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲓ“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲗᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ. „არ დაეშვით იაპონიის გადაქცევა ბირთვული ომის ასპარეზად!“, „გამოაცხადოთ ხიროსიმა მშვიდობის ზონად!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ხიროსიმის მშვიდობის მემორიალურ პარკში „ხიბაკუსიაზთა“ — 1945 წლის აგვისტოში იაპონიის ქალაქების ამერიკული ატომური დაბომბვის შემდეგ გადარჩენილთა მჯდომარე დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილეებმა იაპონიის პროგრესულ საზოგადოებრიობას მოუწოდეს მიმდინარე წელი, როცა სრულდება ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიის 40 წლისთავი, აქციონ ბირთვული იარაღის სრული აკრძალვისათვის მსაზობრივი მოძრაობის წლად.

დემონსტრანტებმა ნაკასონეს მთავრობას მოსთხოვეს მიიღოს კანონი ბარბაროსული დაბომბვის იმ მსხვერპლთათვის სახელმწიფო დაჯილდოების მიცემის შესახებ, რომლებიც განუკურნებელი ხვნით არიან შეპყრობილი და მემკვიდრეობით გადაეცემა. ამჟამად იაპონიაში 350 ათასამდე „ხიბაკუსიაა“. ყოველწლიურად ლეიკემიითა და სხვა კიბოვანი დაავადებით 5 ათასზე მეტი კაცი კვდება. მოუხდავად ამისა, ოფიციალური ტოკიო, რომელიც სოციალური პროგრამების შემცირების კურსს ახორციელებს, არაფერს ღონისს ამ ადამიანთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

● ᲩᲘᲚᲔ

ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ

ᲞᲐᲑᲚᲝ ᲜᲔᲠᲣᲓᲐᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲠᲥᲐᲚᲕᲐ

ᲖᲣᲠᲘᲩᲘ-ᲞᲘᲠᲘᲡᲘ. მძლავრ ანტიფაშისტურ მანიფესტაციად იქცა სანტიაგოში მატილდე ურუტია დე ნერუდას — გამოჩენილი ჩილელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის პაბლო ნერუდას ქვრივის დაკრძალვა. 1973 წლის სექტემბერში, სისხლიანი ფაშისტური გადატრიალებიდან ცოტა ხნის შემდეგ, პოეტის გარდაცვალების დროიდან პოეტის ქვრივმა მთელი თავისი ძალ-ღონე ტრანსიის წინააღმდეგ, დანაშაულგრილი რეჟიმის მიერ ადამიანის ფეხქვეშ გათელილი უფლებების დაცვისათვის ბრძოლას მოახმარა.

სანტიაგოდან მიღებული ცნობებით, მატილდა ურუტია დე ნერუდას უკანასკნელ გზაზე გაცილებლად მივიდა ჩილეს დედაქალაქის ათასობით მეცხოვრები. მათ მოჭქონდათ ჩილეს კომპარტიის დროშები, რომლის ხელმძღვანელობის წევრიც იყო მრავალი წლის განმავლობაში პაბლო ნერუდა, გაიძახოდნენ ლოზუნგებს, რომლებშიც მოუწოდებდნენ იბრძოლონ პინოჩეტის სატირული დიქტატურის დასამხობად. პოლიციის აგენტებმა და კარაბინერებმა ალყა შემოარტყეს ცენტრალურ სასაფლაოს და მასთან მისასვლელ ქუჩებს, მაგრამ ძალის გამოყენება ვერ გაბედეს.

მატილდა ურუტია დე ნერუდა პაბლო ნერუდას საფლავის გვერდით დაკრძალეს.

● ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ლიბანის პოზიცია უცვლელია — ისრაელი ვალდებულია მთლიანად და უპირობოდ გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანის ტერიტორიიდან, განაცხადა ბეირუთში დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების წინაშე გამოსვლისას ქვეყნის პრეზიდენტმა ა. ჟმაიელმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიბანელები ჩაშლილ თელ-აივივის ზრახვებს, რომლებიც თვალსაჩინოებს სამხრეთი ოსეოლიოზის ოზოლიას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფრთხილი ძალების გამოყენებას სამხრეთ ლიბანში თავისი სამხედრო ყოფნის განსაკუთრებულად. ლიბანელ ხალხს, თქვა პრეზიდენტმა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლო მოეღოს ისრაელის ოკუპაციას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღადგინოს ცენტრალური ხელისუფლების სუვერენიტეტი.

● ᲡᲐᲣᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲑᲐᲠᲑᲘᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ლიონის პროკურატურამ დაამთავრა ნაცისტი დამნაშავეს, ლიონის გესტაპოს ყოფილი შეფის კ. ბარბიეს საქმის გამოძიება. იგი დაიწყო 1983 წლის დამდეგს მას შემდეგ, რაც ბარბიე, რომელიც საფრანგეთს გადასცეს ბოლივიის ხელისუფლებამ, გადაიყვანეს ლიონის სენეჟოზეფის საპატიმროში.

როგორც ბევრი დოკუმენტური მასალა მოწმობს, კ. ბარბიე, რომელსაც უკვე დაუსწრებლად ორჯერ მოესაჯა საფრანგეთის სასამართლოს სიკვდილი, უშეალო პასუხისმგებელია წინააღმდეგობის მძორობის 4 ათასზე მეტი მონაწილის, მშვიდობიანი მცხოვრების დაღუპვის:ფვის. მისი ბრძანებით 7900-მდე კაცი დაპატიმრეს, აწამეს, მოთავსეს ჰიტლერელთა „საკვდილის ბანაკებში“. თავის დროზე ბარბიემ აღიარა, რომ მან პირადად აწამა ჰიტლერელთა დილეგებში ნატანჯი წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ჟ. მულენი.

ლიონის პროკურატურამ ბარბიეს ბრალად დასდო კაცობრიობის წინააღმდეგ რვა დანაშაულის ჩადენა, რომელთა შორისაა მშვიდობიან მცხოვრებთა დახვრეტა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსება. მაგრამ გამოძიების დროს ხუთი მათგანი გამორიცხეს საბრალდებო აქტიდ ა ნ. ამრიგად, ლიონის გესტაპოს ყოფილი შეფის ყველაზე მძიმე დანაშაულობის მეტი ნაწილი მოხსენიებული არ არის გამოძიების დასკვნით მასალებში. წინააღმდეგობის მძორობის მონაწილეთა ორგანიზაციებს, პარლამენტის დეპუტატებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიისაგან ორიერთგზის მოუთხოვეთ, რომ ბარბიემ პასუხი უნდა აგოს თავის სისხლიანი მოროტმოქმედებისათვის. მაგრამ ეს მოთხოვნები მართლმსაჯულების ორგანოებმა უარყვეს იმ საბაბით, რომ წინააღმდეგობის მძორობის მონაწილეთა ორგანიზაციებს, პარლამენტის დეპუტატებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიისაგან ერთერთგზის შეუთანხმებლად, ბ. ნოზაძე, ნ. ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ, Ზ. ᲯᲐᲒᲣᲠᲐᲫᲔ.

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ Ჯ. ᲨᲣᲚᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲥᲘᲜᲔᲗᲐᲨᲘ

ᲥᲘᲜᲔᲗᲐ. 7 იანვარს აქ დაიწყო ᲡᲡᲠ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის საუბრები სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმ პრინციპიული მორგების შესაბამისად, რომ დაიწყონ ახალი მოლაპარაკება კოსმოსურ და ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსის მიხედვით.

● ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ლიბანის პოზიცია უცვლელია — ისრაელი ვალდებულია მთლიანად და უპირობოდ გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანის ტერიტორიიდან, განაცხადა ბეირუთში დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების წინაშე გამოსვლისას ქვეყნის პრეზიდენტმა ა. ჟმაიელმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიბანელები ჩაშლილ თელ-აივივის ზრახვებს, რომლებიც თვალსაჩინოებს სამხრეთ ოსეოლიზეს ოზოლიას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფრთხილი ძალების გამოყენებას სამხრეთ ლიბანში თავისი სამხედრო ყოფნის განსაკუთრებულად.

● ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ

● ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲚᲐᲤᲐᲘᲔᲢ-ᲡᲙᲔᲛᲠᲨᲘ?



ᲗᲔᲗᲠᲘ სახლის მახლობლად მდებარე ლაფაიეტ-სკვერში ყოველწლიურად „მადლიერების დღის“ ეროვნული დღესასწაულის დროს მშიერთა და უსახლკაროთა, დაბრმავებულთა და უმუშევართა გრძელი რიგი დგება, რათა უფასო შეჭამანდის ულუფა მიიღონ. ახალი წლის წინ ისინი განსაკუთრებით მეკვრნი იყვნენ: 35 მილიონი კაცი დაეშვა სიღატაკის ზღვარის ქვემოთ, 4 მილიონზე მეტს საკუთარი ჭერი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა ასეთნაირი „ეროვნული დღესასწაული“ ამერიკელებისთვის ერთგვარი ფარისევლობაა. ამ ფენომენს ეხმიანებოდა „ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ“ ᲑᲝᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲗᲑᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲠᲝᲜᲢᲝᲜᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲔᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲚᲘᲡᲤᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲐᲛᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲘᲡᲤᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲐᲛᲒᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲚᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Რ. ᲑᲐᲓᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲔᲠᲝᲜᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ Გ. ᲓᲘᲪᲘᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲬᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲪᲘᲡᲓᲔᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

ᲐᲮᲚᲐ ᲑᲐᲠᲑᲘᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲝᲠᲘᲜᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲚᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢ

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 40 წლის წინათ.

1945 წლის 2-8 იანვარი

● **1 და 2 იანვრის** განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა ქალაქ ლუჩენეცის მიმართულებით ბრძოლებით დაიკავეს მრავალი დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგური რაპოვცე. ბუდაპეშტის რაიონში ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად და დაიკავეს ასობით უბანი ქალაქის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

● **საქართველოს სს რესპუბლიკამ** ციტრუსთა ნაყოფის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა — 400.000.000 ცალის ნაცვლად დამზადებულია 409.305.700 ცალი. დამზადება გრძელდება.

● **„გმირი დედის“** საპატიო წოდება მიენიჭათ და „გმირი დედის“ ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკიდან: ნატალია ფარსადანის ასული ბალაევა — დიასახლისი, ქალაქი სტალინირი; ნუქთი ასლანის ასული ბერაძე — ქობულეთის რაიონის სოფელი ქაქუთი; ქსენია სტეფანეს ასული ვეკუა — გულრიფშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი; ვერა სოლომონის ასული მუნჯიშვილი — დიასახლისი, გორის რაიონის სოფელი კარალეთი; სოფიო გიორგის ასული სუკამეილი — გორის რაიონის სოფელი მიწკარი; სევასტი ფარსადანის ასული ბურდილაძე — თბილისი; მარიამ მიხეილის ასული მეკრავიშვილი — კასპის რაიონის ქვემო გომის კოლმეურნე.

● **პრესის** ცნობებით, რუმინეთის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი გადაწყვეტილების შესაბამისად პოლიციამ დააპატიმრა ომის დამნაშავეები და ლეგიონერები (რუმინელი ფაშისტები). მარტო ბუქარესტში ერთ ღამეს დააპატიმრეს 1.200 კაცი.

● **ჩვენი** ჯარები დღისითა და ღამით ეწევიან ბრძოლებს ბუდაპეშტის ქუჩებში.

● **521 და 406** — ეს ციფრები შეიტანა თავის სნაიპერულ წიგნაკში ორმა წარჩინებულმა სნაიპერმა — ვასო კვანტირიაძემ და კუზმა სმოლენსკიმ. ასეთია მამაცი საბჭოთა მეომრების საბრძოლო ანგარიში ახალი წლის დამდეგისათვის... ლენინის, წითელი დროშის, სამამულო ომისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებმა დაამშვენეს ვასო კვანტირიაძის სახელოვანი საქმეები. მისი მეგობარი კუზმა სმოლენსკი დაჯილდოებულია წითელი დროშისა და დიდების ორდენებით.

● **ბურდილაძეების** ოჯახს პირველად გოგონები — კატო და იულია შეეძინა. მათი მომდევნოა ლავრენტი, შემდეგ იორამი, იაშა, გალინა, მელიტონი, იოსები, პოპინა და გურამი. ოჯახის ხუთი ვაჟი ფრონტზეა, ოთხი ქალიშვილი გათხოვილია, კოლმეურნეები არიან. ყველაზე უმცროსი — მაპთე ჯერ ათი წლისაა. ხარობს გმირი დედა 10 შვილით და 12 შვილიშვილით.

● **6 იანვარს** ბუდაპეშტის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებს განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, დაიკავეს 173 უბანი, ტყვედ ჩაიგდეს 1630 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა.

● **სამშობლოს** პირველსავე დაძახილზე მრავალმა სტუდენტმა და მასწავლებელმა წითელ ჯარს მიაშურა. მეცნიერმა მუშაკებმა და სტუდენტებმა საბრძოლო იარაღს მოპყიდეს ხელი და ღირსეულად ასრულებენ საბჭოთა პატრიოტის მოვალეობას. ოთხი მათგანი საბჭოთა კავშირის გმირია, მრავალი ორდენებით და მედლებით არის დაჯილდოებული... ვინც აქ დარჩა, მათაც ნაყლები თავახსნაზე საქმე როდი ჰქონდათ გახსენებული. მთელმა უნივერსიტეტმა თავისი მუშაობა ომის ინტერესებს და ფრონტის მომსახურებას დაუქვემდებარა. აკადემიკოსი ე. ჯანელიძე, უნივერსიტეტის რექტორი.

ორმოცდახუთი წელია, ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის სარბიელზე დაუღალავად შრომობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი პარმენ ფარნაოზის ძე ზაქარაია. იგი ეკუთვნის ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა უფროს თაობას, რომელსაც თავისი მასწავლებლის აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის კვალდაკვალ მოუხდა ქართული ხელოვნების მეცნიერული ისტორიის შექმნა, მისი თავისთავადობის ნათელყოფა და დამკვიდრება.

პარმენ ზაქარაიას მეცნიერული ინტერესების სფერო მეტად ფართოა. თუმცა იგი ძირითადად ხელოვნებათმცოდნეა, მაგრამ არანაკლები მიღწევები აქვს არქეოლოგიაშიც. მის სახელთან ბევრად არის დაკავშირებული აგრეთვე საქართველოს შუა საუკუნეების ციხესიმაგრეების მეცნიერული კვლევა, ქართული ფორტიფიკაციის ისტორიის შექმნა-ჩამოყალიბება.

პროფესორ ზაქარაიას კალამს ეკუთვნის 130-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან 25 ცალკე წიგნად არის გამოცემული; ეს ნაშრომები გამოქვეყნებულია რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მართალია, მისი მეცნიერული ინტერესების ძირითადი სფერო შუა საუკუნეებია, მაგრამ ჰორიზონტი ანტიკური პერიოდით იწყება და დღევანდელობით მთავრდება.

ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ისტორიაში შექმნილი მისი ათობით ნაშრომიდან გამოირჩევა სამტომეული, რომელიც მკვლევარმა მიუძღვნა XI-XVIII საუკუნეების ცენტრალურგუმბათოვან ტაძრებს. აქ აღძრულია ეროვნული ხუროთმოძღვრების საკვანძო საკითხები. ეს ძეგლები მკვლევარს განხილული აქვს ეტაპობრივად. განსაზღვრული და ნაჩვენებია როგორც მათი განვითარების ერთიანი გზა, ისე ცალკეული ეპოქებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი; დიდ ყურადღებას უთმობს მკვლევარი ტაძრების მდიდარ ჩუქურთმებსა და რელიეფებს, რომლებითაც ასე განთქმულია ქართული ხუროთმოძღვრება. სამტომეულმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მისი ანოტირებული განხილვა დაიბეჭდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ სამეცნიერო ჟურნალებში.

დიდი ღვაწლი დასდო პარმენ ზაქარაიამ გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურის შესწავლასაც. სწორედ პ. ზაქარაიას დამსახურებაა, თუ დღეს გამართულად ვმსჯელობთ ქართული ციხე-სიმაგრეების ტიპებსა და სახეობებზე. დაუღალავმა ენერგიამ შეაძლებინა მას მოეწყო ათობით ექსპედიცია საქართველოს ტერიტორიაზე, შეეკრიბა დიდძალი ინფორმაცია, ეწარმოებინა დაკვირვება და თანდათანობით გამოეკვეთა საფორტიფიკაციო ნაგებობათა ცალკეული ტიპები და სახეობანი. ამ დარგში შექმნილი მისი მრავალი ნაშრომიდან აღსანიშნავია საფუძვლიანი გამოკვლევა „ძველი ქართული ციხეები“.

როცა აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა წამოიწყო ფართო ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება, მან პირველივე ექსპედიციაში, როგორც ხელოვნებათმცოდნე, მიიწვია პ. ზაქარაია.

დაახლოებით იმავე ხანებში, კვლავ აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის თხოვნით, პ. ზაქარაია იწყებს მუშაობას არქეოლოგიაშიც. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. იბერიის უდიდესი ნაქალაქარის ურბნისის გათხრას მან, როგორც ექსპედიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ცამეტი წელი მოანდომა; იგი 5 წელიწადს ხელმძღვანელობდა კახეთის სამეფოს დედაქალაქის გრემის არქეოლოგიურ გათხრებს. დიდი დრო და ენერგია მოახმარა გიორგი სააკაძის რეზიდენციის — ნოსტეს გათხრების და იქ მდგარი ძეგლების რესტავრაციას. ამის შემდეგ პ. ზაქარაიამ გადაინაცვლა დასავლეთ საქართველოში კოლხეთისა და ეგრისის სამეფოების საკვანძო ძეგლების შესასწავლად. ჰაქვინჯისა და ზღვისპირა ქალაქის — ნაქალაქარ გუდავა-ზიღანეოსის გათხრა-შესწავლის შემდეგ იგი თავის კოლეგებთან ერთად შეუდგა ძველი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ცენტრის, ციხე-გოჯის შესწავლას, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ვახდა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქი. ნოქალაქევ-ციხეგოჯის გათხრების შედეგები დღეს ფართოდ არის ცნობილი და მრავალ ენაზეა გამოქვეყნებული. ისინი მოხსენდა არაერთ სამეცნიერო სესიასა და სიმპოზიუმს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ევროპის ქალაქებში.

პარმენ ზაქარაიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ყველა ძეგლი ბოლომდე აქვს გათხრილი, ხოლო გათხრის შედეგები — გამოქვეყნებული. აღსანიშნავია ისიც, რომ პ. ზაქარაია განათლებით არქიტექტორია და ამიტომ გათხრების კვალდაკვალ თვით ხელმძღვანელობს გამოვლენილი ძეგლების აღდგენას, რაც მათი გადარჩენის საუკეთესო საშუალებაა.

პროფესორ პ. ზაქარაიას ინტერესები მარტო ძველით არ იფარგლება, მას არაერთი ნაშრომი აქვს მიძღვნილი თანამედროვე არქიტექტურის, ფერწერისა და ქანდაკებისადმი. აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, ხშირად აქვეყნებს სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე; დაუზარლად ეხმარება ახალგაზრდა მკვლევარებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა რამდენიმე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. ათი წელია ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრას.

ხელოვნების ისტორიის კურსს უნივერსიტეტის გარდა, კითხულობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სამხატვრო აკადემიასა და თეატრალურ ინსტიტუტში, შეთავსებით კითხულობდა საჯარო ლექციებსაც.

პ. ზაქარაიას როგორც მკვლევრის მრავალმხრივობაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი თხუთმეტიოდე სამეცნიერო საბჭოს და სხვადასხვა საზოგადოების წევრია, ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს სახელმწიფო სადიპლომო-საგამოცდო კომისიებს თბილისის სამხატვრო აკადემიასა და თეატრალურ ინსტიტუტში.

პ. ზაქარაიას მრავალპროფილიანობას მოწმობს ისიც, რომ იგი მრავალგზის იყო სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების ოპონენტად შემდეგ დისციპლინებში: ხელოვნებათმცოდნეობა, არქიტექტურა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და თეატრმცოდნეობა.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს გვინდა ვუსურვოთ, ძველებური ენერგიითა და შემართებით კიდევ დიდხანს ემსახუროს ჩვენი ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის წინსვლისათვის.

ანტიკურიდან — დღევანდელობამდე

პ. ზაქარაიას დაბადების 70 წლისთავის გამო

ვ. ბერიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი;

მ. ლორთქიფანიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე;

ლ. ჭილაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

ოქროს საწმისის ქვეყანაში

ოქროს საწმისის ქვეყანაში მოგზაურობა შესთავაზა თავის მკითხველებს პოპულარულმა ფრანგულმა ჟურნალმა „ისტორია და არქეოლოგიამ“. მან თავისი მორიგი ნომერი მთლიანად მიუძღვნა საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის უმდიდრეს არქეოლოგიურ ძეგლებს — ქვის ხანის ადრეული სტადიით დაწყებული და შუა საუკუნეებით დამთავრებული, არქეოლოგიის დარგის სამეცნიერო კვლევის განვითარებას რესპუბლიკაში.

რესპუბლიკის გაცნობა იწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ ო. ლორთქიფანიძის სტატიით „ქართული არქეოლოგია“.

„ქართველთა წარმოშობის შესახებ“ — ასეა დასათაურებული ლენინური პრემიის ლაურეატის, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. მელიქიშვილის სტატია.

პალეოლითის ეპოქაში საქართველოს ტერიტორიის პირველ მოსახლეებს და ნეოლითის ეპოქის ევროპის პირველ მიწათმოქმედებს აცნობენ ფრანგ მკითხველებს საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ჯავახიშვილი, განყოფილების გამგე დ. თუშაბრამიშვილი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თ. კიღურაძე.

კავკასიის ძველ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეგრეთ წოდებულმა მტკვარ-არაქსის კულტურამ. ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის შუა წლებში მან შეცვალა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მიწათმოქმედი ტომების კულტურა. ამ პრობლემას ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ო. ჯაფარიძის სტატია.

ფრანგული ჟურნალის ნაამბობი

„რკინის ქვეყანაში“, „კოლხეთი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში“, „კოლხეთის ოქრო: მითი თუ რეალობა“, „კავკასიის იბერია“, „საქართველოს გლიპტიკური ძეგლების შესახებ“, „ანტიკური მონეტების საცავი“ — ასე ეწოდება პროფესორ ო. ლორთქიფანიძის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილის, პროფესორ თ. მიქელაძის, განყოფილებათა გამგეების — ქ. ფიცხელაურისა და რ. აბრამიშვილის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლების მ. ლორთქიფანიძის, გ. დუნდუას სტატიებს.

ჟურნალში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის არქეოლოგიური რუკები. იგი მდიდრულად არის ილუსტრირებული რესპუბლიკის არქეოლოგიური ძეგლების ფერადი და შავთეთრი ფოტოსურათებით.

ჟურნალში მოყვანილია საქართველოს არქეოლოგიის დარგში ევროპულ ენებზე გამოცემულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია, ხოლო შენიშვნაში ნათქვამია, რომ ჟურნალს აქვს ამ დარგის ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ ნაშრომთა სრული ნუსხა და შეუძლია მიაწოდოს იგი თავის მკითხველებს. (საქინფორმი).

სურათზე: ფრანგული ჟურნალი საქართველოზე მოგვითხრობს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ ინტერვიუ

დედას ვუყვარვართ შვილები...

„სანამ წვიმა გადაივლიდეს“ რეჟისორ ქეთი დოლიძის პირველი დამოუკიდებელი ფილმია. ამ ფილმით იწყება მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი გზაც ქართულ კინემატოგრაფიაში.

— ყოველი ფილმი მომზადებაა შემდგომისთვის და მაინც თითოეული ფილმი რეჟისორისათვის თავიდან დაწყებას ნიშნავს, გვიუბნება ქ. **დოლიძე.**

ფილმში კი... წვიმს. სველია ქუჩა, ხე, ფოთლები, ფანჯრის მინები. მინის მიღმა დგას გია, სევდიანი და ფიქრიანი. უფერულ წვეთებს მიჰყვებიან მოგონებები და წვიმის გადაღებამდე მაყურებელი გიას ფიქრისა და შიშის თანაზიარი ხდება. მასთან ერთად იხედება წარსულში, ცხოვრობს მისი ცხოვრებით.

— მიყვარს ახალგაზრდები, ჩემთვის არ არსებობს ცნება ცუდი ახალგაზრდობა. უბრალოდ, დასაბამიდან მოდის თაობათა მეტოქეობა, უფროსებიც სცოდავენ ხოლმე. მათ ხომ ხშირად ავიწყდებათ განვლილი ასაკი, — ამბობს რეჟისორი.

ფილმის გმირები სულ სხვა თვალით უყურებენ ცხოვრებას. ახალგაზრდები თავის გზას ეძებენ, ახალს, გაუკვალავს. მათთვის იოლია თუნდაც მეთოთხმეტე სართულიდან მოისროლონ ძველი კარადა, ოღონდ სიძველე არ შეეხიროთ თვალში. მაინც ვერ გაქცევიან წარსულს. მათ ნახატებში უფროსი თაობის მხატვართა სული ჩაბუდებულა.

მაინც რა არის მთავარი, ვის უნდა მიენდო, საკუთარ გულისთქმას თუ დედის რჩევას?

— როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდები, რომელთაც არ შესწევთ უნარი ბოლომდე გაიგონ კრეიცარნოვსკის სატრფიალო წერილის არსი, თუ შეძლებენ სალომესნაირ დედობას და მეუღლეობას? — ვეკითხებით რეჟისორს.

— შეძლებენ. ყოველ ეპოქას სხვადასხვა ფორმა აქვს სიყვარულის გამოხატვისა. არც ნონა (ნ. ბურდული) და არც ელისო (ნ. ჰანკვეტაძე) არ დაწერენ მსგავს წერილს, მაგრამ ეს ოდნავაც ვერ დაჩრდილავს მათ გრძნობას.

— თქვენს პროფესიაზე რას გვეტყვით? ჟურნალისტობისა არ იყოს, რეჟისორობასაც ხომ წმინდა მამაკაცურ პროფესიად თვლიან.

— მომრავლდნენ რეჟისორი ქალები. ვფიქრობ, ისინი მაინც და მაინც დიდად არ ჩამოუვარდებიან მამაკაცებს. ასეც უნდა იყოს. ყველაზე რთული ალბათ მაინც ბავშვის აღზრდაა და თუკი ქალს ძალა შესწევს იყოს ღირსეული დედა — სხვა სიძნელეს რატომ შეუშინდება?

— იტალიელი რეჟისორი ელდა ტატოლი თვლის, რომ რეჟისორ ქალთა ძირითადი მისია ეკრანზე თანამედროვე ქალის სრულყოფილი სახის ასახვაა. თქვენც ასე ფიქრობთ?

— არა. კარგი რეჟისორი ბოლომდე უნდა იცნობდეს როგორც ქალის, ისე ვაჟის ხასიათს. ცხოვრებაში თუ ეკრანზე არც ერთ მათგანს არ უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა.

— ორიოდე სიტყვით გვიამბეთ ფილმის შემოქმედებითი კოლექტივზე.

— ფილმი „სანამ წვიმა გადაივლიდეს“ ლაშა თაბუკაშვილის პიესის „ძველი ვალსის“ მიხედვით მის მიერვე დაწერილი სცენარით არის გადაღებული. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა გ. ჩლაიძემ, ოპერატორია მ. მეღნიკოვი. დიდი სიამოვნება მომანიჭა ისეთ მსახიობებთან მუშაობამ, როგორიც არიან მედეა ჯაფარიძე, თენგიზ არჩვაძე, თამარ ციციშვილი, კახი კავსაძე. მთავარი გმირის როლი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს ირაკლი ჰანტურიას მივანდეთ. სხვა ახალგაზრდა მსახიობებიც თამაშობენ — ნ. ბურდული, გ. ხუციშვილი. ფილმი მალე გამოვა ეკრანზე და მთავარ სათქმელს მაყურებელი იტყვის.

— რა არის თქვენი სახელმძღვანელო პრინციპი მსახიობების შერჩევისას?

— პროფესიონალიზმი და ოსტატობა. და თუკი როლს ახალბედა დებიუტანტს ვანდობ, მაშინ მის პიროვნულ თვისებებს ვუწევ ანგარიშს. მსახიობმა ზუსტად უნდა მოირგოს როლი.

— რას ანიჭებთ მთავარ მნიშვნელობას მსახიობთან ურთიერთობის დროს?

— კეთილ განწყობას. დაუშვებელია ნერვული ატმოსფერო. გადასაღებ მოედანზე მსახიობმა თავისუფლება უნდა იგრძნოს.

— თქვენ უკვე სამი ფილმი გადაიღეთ: „კუკარაჩა“ და „კაციაადამიანი!?“ — მამასთან — სიკო დოლიძესთან ერთად, დამოუკიდებლად კი „სანამ წვიმა გადაივლიდეს“, სამივე ფილმის სცენარს მაყურებელი უკვე იცნობდა სპექტაკლებიდან. ეს შემთხვევითია თუ წინასწარ ნაფიქრ-ნაზრევი?

— შემთხვევითია. მართალია, გვყავს საკმაოდ კარგი სცენარისტები, მაგრამ დრამატურგიაში საგრძნობლად მოვიკოჭლებთ. ამიტომაც გვსურს ყველა კარგი ნაწარმოები არა მარტო სცენაზე ავამეტყველოთ, არამედ ეკრანზეც ვიხილოთ.

— უკვე აღიარებული სცენარი ალბათ რამდენადმე წამგებიანია ფილმისათვის.

— თუ შენეული ხედვა გაქვს ნაწარმოებისა, მაშინ ეს ნაკლებად გამინებს.

— ყოველი შემოქმედი ცდილობს თავისი საკუთარი გზა იპოვოს ხელოვნებაში. და მაინც ვინ არის თქვენი საყვარელი რეჟისორი, ვისგან აიღებდით მაგალითს და რატომ?

— ერთხელ ეიზენშტეინს უთქვამს მამაჩემისთვის: დაე, კინორეჟისორმა ისაზრდოოს ლიტერატურით, ისტორიით, ცხოვრებით, გამოცდილებით... ოღონდ ნურაფერს დაესესხება თავად რეჟისორს, ეს საშიშია. მეც ასე ვფიქრობ, მიყვარს ჩარლი ჩაპლინი და ფედერიკო ფელინი. ჩემი იდეალი კი ჩემივე მასწავლებელი მიხეილ თუმანიშვილია. სიამოვნებით მივბაძავდი მას თეატრისადმი ფანატიკურ სიყვარულში.

— რომელ მწერალთა გმირებს ამეტყველებდით ეკრანზე?

— ნებისმიერი მწერლის ყველა იმ გმირს, რომლის სულშიც უკიდეგანო განცდა და ვნება ჩატეულა.

— რას ინატრებდით ყველაზე მეტად?

— არსად ამქვეყნად არ არსებობდეს უპატრონო ბავშვთა სახლები, რომ ბედნიერი იყოს ყველა პატარა, თითოეულ მათგანს გვერდით ჰყავდეს ერთგული დედა, მშობელი...

ყველაზე მეტად ალბათ დედის გული გაუგებს ამ ნატვრას. დედა ხომ ყოველგვარი სიკეთის საწყისია დედამიწაზე.

და მაინც, რა არის მთავარი, ვის უნდა მიენდო, საკუთარ გულისთქმას თუ დედის რჩევას?

— შენი გზით იარე: ოღონდ დედას ნუ დაივიწყებ, თორემ საკმარისია გაგვიჟრდეს, ისევ მშობელს დაუბრუნდები და მარტოობით შეშინებული სასოწარკვეთით იყვირებ: — ხელს ნუ მკრავ დედა!..

აი ქეთი დოლიძის ახალი ფილმის დედაარსი.

მ. კუპატაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ინფორმაცია — 85 ● ინფორმაცია — 85

მოძრავი გამოფენა

ონი. (საქ. კორ.). მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო მოძრავი გამოფენა, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ერმალოზ კობერიძის მხედრულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა.

გენერალ-მაიორმა ერმალოზ კობერიძემ დიდი წვლილი შეიტანა გერმანელი ფაშისტების განადგურებაში. თანასოფლელებმა ღირსეულად აღნიშნეს გმირის დაბადების 80 წლისთავი. მუზეუმმა გამოფენა პირველად გმირის სოფელში მოაწყო, რომლის ექსპონატები ინტერესით დაათვალიერეს ცხმორელებმა.

სოფლიდან გამოფენამ რაიონის ცენტრში, სამკერვალო ფაბრიკაში გადაინაცვლა. მალე იგი ქალაქის სხვა საწარმოებსაც ესტუმრება.

სკოლების წვლილი

ქობულეთი. (საქ. კორ.). სასურსათო პროგრამის განხორციელებაში თავისებური წვლილი შეაქვთ ქობულეთის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. ყველგან მოაწყვეს დამხმარე მეურნეობები, სადაც აწარმოებენ ბოსტნეულს, ხილს, ციტრუსს, ხორცს, კვების სხვა პროდუქტებს. აქედან ნაწილს სასკოლო ბუფეტებს აბარებენ, დანარჩენს — სახელმწიფოს. მაგალითად, გასულ წელს მათ უკვე აწარმოეს 2150 კილოგრამი ხორცი, 2500 კილოგრამი ბოსტნეული, 17 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 22 ტონა ეკალა, მოკრიფეს 42.200 კილოგრამი ტუნგი, მეცხოველეობისათვის დაამზადეს 290 ტონა მწვანე მასა. განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი მუხაესტატის, ლიდვას, წყავროკას, ქაქუთის, კვირიკეს, ბობოყვათის და სხვა სოფლების მოსწავლეებმა.

გამოჩენილი ლოტბარის ხსოვნას

მახარაძე. (საქ. კორ.). ვარლამ სიმონიშვილის სახელი მუსიკის მოყვარულთათვის ფართოდ არის ცნობილი. მან დიდი როლი შეასრულა გურული სიმღერების აღდგენასა და პოპულარიზაციაში. ვარლამ სიმონიშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული სიმღერა, რომლებიც მოსწონს ხალხს და ისინი დღესაც ამშვენებს თვითმოქმედი ანსამბლების რეპერტუარს. ვარლამ სიმონიშვილმა დააარსა და იყო უცვლელი ხელმძღვანელი გურიის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდისა, რომელიც წარმატებით გამოსულა მოსკოვისა თუ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ცენტრების სცენაზე.

მადლიერმა თანამემამულეებმა ვარლამ სიმონიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად შესანიშნავი საქმე გააკეთეს. მის მშობლიურ სოფელ შემოქმედში მოაწყვეს მემორიალური სახლ-მუზეუმი. პირვანდელი სახით აღადგინეს სიმონიშვილების ეზო-კარმიდამო და საცხოვრებელი სახლი. მუზეუმის ექსპოზიციებში ქართული ხალხური მუსიკის ისტორიის ამსახველი ბევრი უნიკალური დოკუმენტია გამოფენილი.

გადარჩენილი სიცოცხლე

ეს ამბავი ჭიათურის რაიონის მაღალმთიან სოფელ ჭალევაში მოხდა. მოდებაძეების უბანში ოთხი წლის დათო მოდებაძე და მისი თანატოლები ჭის მახლობლად თამაშობდნენ.

ვიღაცას ჭა დაუხურავი დარჩენოდა. ბავშვი ჭის თავზე აცოცდა და ვედროში ჩაჯდა. წუთიც და ვედრო ფსკერისკენ ჩაქანდა. ბავშვების კივილზე მთელი უბანი შეგროვდა, მაგრამ ჭაში ჩასვლა ვერავინ გაბედა. ბოლოს ზაურ მოდებაძე გამოჩნდა და დაუყოვნებლივ ჩაეშვა ჭაში. ცოტაც და, ზაურმა ჭიდან ამოიყვანა დათო.

ე. ქამუშაძე,
გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ კორესპონდენტი.

საინტერესო თემაზე

ფარინას საიდუმლო

[illegible]

ს. ნუცუბიძე.

მხიარული არდადეგები

ახლა მოსწავლეებს სიხარულითა და ხალისით ელხავსე დღეები აქვთ — ზამთრის არდადეგებია. ბავშვების განკარგულებაშია საუკეთესო კულტურის სახლები, კლუბები, პარკები და სტადიონები.

დიდი საერთო-საქალაქო ნაძვისხე დგას თბილისის სპორტის სასახლეში. მის გვერდით მდებარე მოედანზე მოწყობილია საბავშვო კარუსელი, აიწონა-დაიწონა, ტირი და სხვადასხვა ატრაქციონი.

სასახლეში კი ნაძვისხესთან არიან ზღაპრების გმირები ბურატინო და ცეროდენა, კარლსონი და სალამურა, ჩიპოლინო... ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები...

სურათზე: სასახლის თაღებქვეშ მხიარულებაა, ისმის ჟრიამული და ხუმრობა.

ვ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ყაზახი ჩემპიონი 16 წლისაა

ახალი წლის დამდეგს დამთავრდა 1984 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის. მასში მონაწილეობდა თამაშში გამარჯვებული 14 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. ისინი ჩემპიონობის გარდა იბრძოდნენ საქართველოს 1985 წლის პირველობის ერთადერთი საგზურისთვის.

მეტოქეობა ძლიერად წარიმართა და ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა 16 წლის ჭაბუკმა კახა შალამბერიძემ. მისი მიღწევაა 11 ქულა 13 შესაძლებლიდან, რაც ცხადია სოლიდური შედეგია. ახალ ჩემპიონს ჩამორჩნენ გამოცდილი ოსტატობის კანდიდატები ვ. ვეფხვიშვილი (10,5 ქულა) და გ. ცქიტიშვილი (10 ქულა).

სატურნირო ორბიტა

ბადრაკი. გუშინ მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატზე ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის ოცდამეცხრე პარტია. შეხვედრა 41-ე სვლაზე გადაიდო.

კალათბურთი. მოსკოვსა და კაუნასში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურის პირველი ეტაპის მატჩები. გთავაზობთ ბოლო ორი დღის გამართული შეხვედრების შედეგებს: მოსკოვი. თბილისის „დინამო“ — როსტ ვეფი — 86:74, ცსკა-კიევის „სტროიტელი“ — 94:85, „სტროიტელი“ — „დინამო“ — 99:80, ცსკა-ვეფი — 142:103; კაუნასი. მინსკის რტილენინგრადის „სპარტაკი“ — 64:65, კაუნასის „ჟალგირისი“ — კიევის ცსკ — 93:76, „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“ — 102:83, რტიცსკ — 90:80. თებერვლის დასაწყისში გაიმართება ფინალური ტურის დასკვნითი ეტაპის მატჩები და საბოლოოდ გაირკვევა პრიზიორთა ვინაობა. ჯერჯერობით კი გუნდები სატურნირო ცხრილში ასე არიან განლაგებული (ამჯერად მხოლოდ ის ქულებია გათვალისწინებული, რომლებიც ამ გუნდებმა მხოლოდ ერთმანეთს შორის შეხვედრებში დააგროვეს): „ჟალგირისი“ და ცსკა — 32-32 ქულა, „სპარტაკი“ — 27, „სტროიტელი“ — 25, ვეფი და რტი — 23-23, თბილისის „დინამო“ — 22, ცსკ — 20 ქულა.

ცურვა. ქალაქ ფიუეტნეიში (აშშ) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ტანკუნაძემ ლარისა ბელოკონმა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გამარჯვება — 2.29,92. კვლავ ისახელეს თავი გდრ-ის სპორტსმენებმა. მათ პირველი ადგილები მოიპოვეს ქალთა და ვაჟთა ესტაფეტებში. მასთან ვაჟთა გუნდმა (დორ, რიხტერი, შტოიდ ლოსი, ჰაი დასკელი და ნეიმ ლოდიგენი) მსოფლიო მიღწევით შეჯიბრება 4X200 მეტრზე თავისუფალ სტილით ცურვაში — 7.13,99. ლოიდგენმა 400 მეტრზე თავისუფალ ცურვაში იმარჯვა (3.45,34), რიხტერმა—200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.58,75).

ფეხბურთი. იტალიის „იუვენტუსისა“ (თასების თასის მფლობელი) და ინგლისის „ლივერპულის“ (ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების გამარჯვებული) ხელმძღვანელები როგორც იქნა შეთანხმდნენ „სუპერთასის“ გათამაშების მოწყობის თაობაზე. შეილავას თავდაპირველი მატჩი... ფორმით ორ მატჩად იქნება ... გუნდებს შორის „სუპერთასის“ ... ერთი შეხვედრა. გუნდების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ ეს მატჩი გამართონ 16 იანვარს ტურინის მუნიციპალურ სტადიონზე. მატჩის ორგანიზატორების ცნობით ამ შეხვედრის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

8 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ. 10.35 — მულტფილმები. 11.05 — მხატვრული ტელეფილმი „ნუგეშინია, მე შენთან ვარ“. I სერია. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.40 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — ფილმი — ბავშვებს. „დენის კორალიოვის საოცარი თავგადასავალი“. I სერია. 18.25 — კონცერტი. 19.05 — ჩვენი ბაღი. 19.35 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „საქმენი და ადამიანები“. 20.35 და 22.35 — სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ულანოვას საიუბილეო საღამო. 22.00 — „ვრემია“. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15, 14.00, 19.20 და 23.45 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 — მხატვრული ტელეფილმები „უცნობი სიმღერა“ და „ბორბალი“. 10.40 — ფილმ-კონცერტი. „ალტისტი იური ბაშმეტი“. 11.20 — ფილმ-კონცერტი საბჭოთა მწერლების ზღაპრების მიხედვით. 12.05 — ფრანგული ენა. 12.35 — კონცერტი. 12.50 — მხატვრული ტელეფილმი „კაპიტანი ნემო“. II სერია. 14.20 — მულტფილმები. 14.50 — ლვოვის ტელესტუდიის პროგრამა. 16.00 — კონცერტი. 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — კალათბურთი. თასების მფლობელთა თასი. ვაჟები. კაუნასის „ჟალგირისი“ — ესპანეთის კაი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო“. 21.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „მოხუცი და გოგონა“. 00.05 — ახალი ამბები.

თბილისი

8 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.30 — „მოამბე“. 10.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქვეთი ოსტატები“. 11.00 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამი: სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „სალთან მეფის ზღაპარი“ და მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაში ლ. კვაჭაძე). 13.30 — ახალი ამბები. 13.45 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაში გ. ჭირაქაძე). 15.40 — ახალი ამბები. 15.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწის ერთი პატრონი“. საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოებები (მ.). 16.40 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. სტუდიაში ალ. ბათიაშვილი). 17.10 — საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი იმედის მინდორი“. 17.35 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამი: მულტიპლიკაციური ფილმები: „რუხი მგელი“, „მელია — კუდაგრძელია“. 17.55 — „სათაგური“. 18.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 19.25 — პოეზია — კითხულობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ცეროდენას ეკრანი. 20.50 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი. 21.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „გუდაურის გაზაფხული“. 22.55 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „საკდესი უფლებამოსილია განაცხადოს“. I სერია. 00.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „თოვლის დედოფალი“. 17.35 — განცხადებები. 17.40 — მხატვრული ფილმი „ვერონიკა დაგვიბრუნდა“.

თეატრი

8 იანვარი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — შოპენიანა, კარმენ სიუიტა (დღისით), ოტელო (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე (დღისით), შეშლილი, შეშლილი.. ახალი წელი (საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — კომედია (მე-6 აბონ. I წარმოდგენა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ვქიმე აიბოლიტი (დღისით), ცაცხვ მასწავლებელი (საღამოს); მინიატურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები (დღისით და საღამოს), მეტეხის — შვიდკაცი (დღისით და საღამოს).

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი და ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 65 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

თეიმურაზ გრიგოლის ძე ხელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უუ 08411 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20